შეთანხმება №14/02-216/256ც

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის“ მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-216 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი **30 მარტი 2020 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს ადმინისტრაციის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **თამარ ჩუბინიძის** სახით, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, **მიხეილ ჯანიაშვილის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის“ მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-216 ხელშეკრულების 9.2 პუნქტისა და მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 16 მარტის №04/7744 წერილის (სააგენტოში რეგისტრაციის №43821, 16.03.2020წ.) საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2014 წლის 23 დეკემბერს დადებულ №14/02-216 ხელშეკრულებაში (შემდგომში - ხელშეკრულება) ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

2.1 ხელშეკრულების 6.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **ვლადიმერ სიჭინავა** (მობ.: 577615599; ელ. ფოსტა: l.sichinava@sda.gov.ge); სამინისტროს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი - **ირაკლი ელიაშვილი** (მობ.: 577178877; ელ-ფოსტა: ieliashvili@moh.gov.ge); სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან - მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (მობ.: 577944991; ელ. ფოსტა: zbatiashvili@moh.gov.ge).“.

2.2 ხელშეკრულების 9.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის პირველი იანვრიდან და ძალაშია 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.“.

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.2 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

3.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 **სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“** – მის.: ქ. თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.

თამარ ჩუბინიძე	**მიხეილ ჯანიაშვილი**	**თენგიზ აბაზაძე**

4.2 **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.

4.3 **სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“** - მის.: თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia
Date: 2020.03.30 18:45:15 +04'00'

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY 2020.03.30 18:23:35 +04'00'

თამარ ჩუბინიძე	**მიხეილ ჯანიაშვილი**	**თენგიზ აბაზაძე**